ახალი ხარაგაული

№337 (29), 24 ნოემბერი, 2016 წ.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მარგვეთისა და უბისის ეპარქიას სტუმრობდა

17 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს — პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ -აფხაზეთის მიტროპოლიტი უწმინდესი და უნეტარესი ილია II მარგვეთისა და უბისის ეპარქიას სტუმრობდა. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი ეპარქიაში ეპისკოპოს მელქისედეკის (ხაჩიძე) მოწვევით ჩამობრძანდა. უწმინდესი ზესტაფონში ღვთისმშობლის სახელობის მიძინების საკათედრო ტაძარში მიბრძანდა და სამღვდელოება და მრევლი დალოცა.

საქართველოს კათალიკოს - პატრიარქთან შესახვედრად ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, ხარაგაულელი მრევლი და ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლე-მასწავლებლები იმყოფებოდნენ. უწმინდესმა მეუფე მელქისედეკს სამახსოვროდ პანაღია და მაცხოვრის ხატი გადასცა, ხოლო მღვდელმთავარმა კი სპილოს ძვალზე შესრულებული პანაღია უსახსოვრა უწმინდესს.

„ჩვენ ვაფასებთ მეუფე მელქისედეკის გამორჩეულ ღვაწლს ამ ეპარქიაში და ნიშნად დიდი სიყვარულისა, გადავცემთ სამღვდელმთავრო პანაღიას და მოზაიკით შესრულებულ მაცხოვრის ხატს.“ - ბრძანა პატრიარქმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, უფლებამოსილების განხორციელებას ოფიციალურად შეუდგა

21 ნოემბერს ხარაგაულის ახლად არჩეული გამგებელი უფლებამოსილების განხორციელებას ოფიციალურად შეუდგა.ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, გამგეობაში საკადრო ცვლილებები უკვე დაიწყო და ის მომავალშიც გაგრძელდება. გამგებლის პირველი მოადგილის პოსტი ხარაგაულელმა არჩილ მაღრაძემ დაიკავა. პაატა გოგოლაძე კი, რომელიც ამ დრომდე აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობდა, საქმიანობას შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსად განაგრძობს. როგორც ჩვენთან საუბარში ნიკოლოზ თოფურიძემ განმარტა, მას მხოლოდ ორი მოადგილე ეყოლება. ერთ-ერთი მოადგილის პოსტს თეიმურაზ ჩხეიძე შეინარჩუნებს, რაც შეეხება დავით დევდარიანს, იგი სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსად დაინიშნა. ხარაგაულის ახლად არჩეული გამგებელი საჯარო მოხელეებთან მომავალი თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამს და ამბობს, რომ კანონის ფარგლებში, მკაცრად გააკონტროლებს ყველა იმ საკითხს, რისი დროული გადაჭრაც ხარაგაულის ინტერესებისა და მომავალი განვითარებისთვის იქნება აუცილებელი.

შეგახსენებთ, რომ ნიკოლოზ თოფურიძეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე არჩევას მხარი ამომრჩევლის 70-მა პროცენტმა დაუჭირა.

საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი მანანა ბარბაქაძემ დაიკავა

14 ნოემბერს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, დეპუტატებმა საკრებულოს ახალი თავმჯდომარე აირჩიეს. უმრავლესობის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მანანა ბარბაქაძის კანდიდატურა იყო წარდგენილი. დამსწრე 31 დეპუტატიდან ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა 24-მა მიიღო და საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მანანა ბარბაქაძის არჩევას 24-ვემ დაუჭირა მხარი. შეგახსენებთ, რომ მანანა ბარბაქაძე ამ დრომდე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

მანანა ბარბაქაძის ბიოგრაფიული მონაცემები ასე გამოიყურება:

დაიბადა 1957 წლის 3 ნოემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითში.

1974 წელს დაამთავრა ქ. ზესტაფონის N7 საშუალო სკოლა.

1988 წელს დაამთავრა მოსკოვის პოლიციის აკადემია სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1990 წელს დაამთავრა ფაკულტეტი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკა და თანამედროვე კომერციული საქმიანობა.

1975 წელს მუშაობდა შ.ს.ს. სხვადასხვა პოზიციაზე.

1978-1982 წლებში მუშაობდა შ.ს.ს. საბურთალოს რაიონის არასრულწლოვანთა ინსპექციაში უფროს ინსპექტორად.

1982-1984 წლებში მუშაობდა შ.ს.ს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში სპეც. ნაწილის უფროსად.

1984-1990 წლებში მუშაობდა შ.ს.ს. საბურთალოს რაიონის საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის უფროს ინსპექტორად.

2000-2002 წლებში მუშაობდა შ.ს.ს. ვაკე-საბურთალოს რაიონის საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის მე-2 განყოფილების უფროსად.

2002-2004 წლებში მუშაობდა შ.ს.ს. ვაკე -საბურთალოს საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის განყოფილების უფროსად.

არის პოლიციის ვიცე - პოლკოვნიკი.

2006-2012 წლებში იყო „ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის“ მშენებლობის ფონდის თავმჯდომარე.

2012 წლიდან არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს" საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე.

2014 წელს აირჩა ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარ დეპუტატად.

ჰყავს ერთი შვილი და ორი შვილიშვილი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილედ არჩილ მაღრაძე დაინიშნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ გამგებლის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ახალი კანდიდატურა წარადგინა.

21 ნოემბერს, გამგებლის ბრძანების საფუძველზე აღნიშნულ თანამდებობაზე, ხარაგაულელი არჩილ მაღრაძე დაინიშნა და მან ამ პოსტზე ყოფილი მოადგილე, პაატა გოგოლაძე, შეცვალა. ბატონი პაატა კი საქმიანობას გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსად გააგრძელებს.

გთავაზობთ გამგებლის პირველი მოადგილის მოკლე ბიოგრაფიას:

არჩილ მაღრაძე 1973 წლის 21 ივნისს ხარაგაულში დაიბადა. 1990 წელს დაამთავრა თბილისის 150-ე საჯარო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

1993 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა საბაჟო დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2008-2011 წლებში შპს „ყაზტრანსგაზის“ ჯერ გლდანის, ხოლო შემდეგ მთაწმინდა-კრწანისის სადისტრიბუციო ცენტრის დირექტორი გახლდათ.

2013 წლიდან ერთი წელი მუშაობდა სამშენებლო კომპანიაში, ქვის გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორად. სხვადასხვა დროს საქმიანობდა ასევე, კერძო ბიზნესში.

2014 წლიდან ამ დრომდე შპს „გორიგაზის“ მთავარი ინჟინერი იყო.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ გივი თხელიძე აირჩა

დაბა ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, გივი თხელიძე, საკრებულოში საქმიანობას ახალი სტატუსით განაგრძობს. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ახლა უკვე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას იკავებს. გივი თხელიძის ამ თანამდებობაზე არჩევას 23-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. აღნიშნული პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც საკრებულოს თავმჯდომარედ, მანანა ბარბაქაძე, აირჩა.

რაც შეეხება საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის პოსტს, ამ თანამდებობაზე დეპუტატებმა ვარძიის მაჟორიტარი დეპუტატი გივი ხიჯაკაძე აირჩიეს.

ა(ა) იპ-ების მოთხოვნები დაკმაყოფილდა

14 ნოემბერს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს. საკითხი მათ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, გააცნო. როგორც მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ა(ა) იპ-ებს მიმდინარე წლის ნოემბრის თვის შრომის ანაზღაურებისა და სხვა გადაუდებელი ხარჯებისათვის დამატებით 170.0 ათასი ლარის სუბსიდია ესაჭიროებათ.

ა(ა)იპ-ების მიერ მოთხოვნილი თანხების ასანაზღაურებლად პროგრამულ ბიუჯეტში შემცირდა: საკრებულოს ხარჯები 6,0 ათასი ლარით (მ. შ. შრომის ანაზღ. ხარჯები 3,0 ათ. ლარით და არაფ. აქტ. ზრდის ხარჯ. 3,0 ათ. ლარით); ,,ხიდების, ბოგირების აშენება, შეკეთება“ - 35,0 ათასი ლარით; ,,სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების, დამბებისა და წყლის შემკრები ავზების მოწყობა'' - 19,9 ათასი ლარით;

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა საჯარო ლექცია წაიკითხა

19 ნოემბერს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა საჯარო ლექცია წაიკითხა. ლექციის თემა "ეფექტური მუნიციპალური მართვა" გახლდათ. კობა ლურსმანაშვილმა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში საჯარო ლექცია უკვე მეორედ წაიკითხა.

ა(ა) იპ-ების მოთხოვნები დაკმაყოფილდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

„წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" - 50,0 ათასი ლარით; „კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია" - 13,0 ათასი ლარით; „სოფლის მეურნეობის დაფინანსება" - 5,0 ათასი ლარით; „სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა" - 15,1 ათასი ლარით; „სარეზერვო ფონდი" - 20,0 ათასი ლარით; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და დახმარების ხარჯები" - 6,0 ათასი ლარით (უსინათლოებისათვის ბრაილის შრიფტით სწავლება).

საკითხთან დაკავშირებით კომისიის დასკვნა წარმოადგინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, და განმარტა, რომ ის შენიშვნები, რაც დეპუტატებს აღნიშნულ საბიუჯეტო ცვლილებასთან გააჩნდათ, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა.

„ჩვენი მხრიდან შენიშვნა იყო ის, რომ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და დახმარების ხარჯებიდან" არ ჩამოიჭრას 12 ათასი ლარი და ეს თანხა სხვა ხარჯებიდან გამოიძებნოს. ასევე, კომისიის არცერთი წევრი არ უჭერს მხარს ინფრასტრუქტურული ხარჯების შემცირებას, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ა(ა)იპ-ებში დასაქმებული ადამიანები ხელფასებს ელოდებიან, მივდივართ კომპრომისზე. ჩვენ გამოვხატეთ მზაობა, რომ შემცირებულიყო საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯები და ასეც მოხდა,"- განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა და ოპონენტებს მოუწოდა, მხარი დაეჭირათ აღნიშნული საბიუჯეტო ცვლილებისთვის.

სხდომაზე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილმა განაცხადა, რომ, მართალია, ადამიანები უნდა დასაქმდნენ, მაგრამ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მხოლოდ სახელფასო არ უნდა იყოს. საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება კრიტიკის საგანი გახდა სხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებისთვისაც, თუმცა, საბოლოოდ, უმრავლესობამ 170 000 ლარიან საბიუჯეტო ცვლილებას მხარი დაუჭირა.

საკრებულოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას" დამატებით 45,0 ათასი ლარი მიეცა, ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობას" 24,0 ათასი ლარი (გარე განათება -6,0 ათ. ლარი, პარკები და სკვერები 18,0 ათასი ლარი); ა(ა)იპ „სოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" — 65,0 ათასი ლარი; ა(ა)იპ კულტურის ცენტრს - 20,3 ათასი ლარი; ა(ა)იპ ცენტრალურ ბიბლიოთეკას - 15,0 ათასი ლარი; ა(ა)იპ ისტორიულ მუზეუმს — 0,7 ათასი ლარი.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 152-ე კილომეტრზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს. მიმდინარე სამუშაოები საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, გივი ჩოჩიამ, მოინახულა.

მდინარე რიკოთულაზე მდებარე აღნიშნული ხიდი დაზიანებული იყო და მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით აუცილებელი იყო მისი რეაბილიტაცია.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხიდის სავალ ნაწილს, მოაჯირებს, ტროტუარებს და ხიდთან მისასვლელ გზებს. შეკეთდება ზედა საყრდენი კედელი, გზა საგზაო ნიშნებით აღიჭურვება და მოხდება ხიდის სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 527 089 ლარია. სამუშაოები 2016 წლის ივლისში დაიწყო და 2016 წლის დეკემბერში დასრულდება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე 2017 წლის ბიუჯეტის პროექტზე იმსჯელეს

ხარაგაულის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილმა, კომისიის წევრებთან და გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროს, ვლადიმერ გელაშვილთან ერთად, ხარაგაულის ა(ა)იპ-ების 2017 წლის დაფინანსების საკითხი დეტალურად განიხილა.

კომისიის სხდომას ხარაგაულის ა(ა)იპ-ების დირექტორები და ბუღალტრები ესწრებოდნენ.

უმეტეს შემთხვევაში (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), ა(ა)იპ-ები მომავალი წლის ბიუჯეტში თანხების დამატებას არ ითხოვენ და მზად არიან, მოთხოვნილი სუბსიდირების ფარგლებში შეინარჩუნონ კადრები და გაანაწილონ სახელფასო ფონდი.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების" დირექტორის, თემურ ფურცელაძის, ინფორმაციით, დასუფთავების სამსახურის ფუნქციის არეალი გაზრდილია, უახლოეს მომავალში სამსახურს ახალი ტექნიკა და კონტეინერები დაემატება. აქედან გამომდინარე, ა(ა)იპ-ისთვის თანხების დამატება აუცილებლობას წარმოადგენს. მისივე განმარტებით, თუ მომავალი წლის ბიუჯეტში თანხების დამატება არ მოხდება, მაშინ დასუფთავების სამსახურში ხელფასების შემცირება გარდაუვალი იქნება. კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში თემა უფრო დაწვრილებითაა განსახილველი და აღნიშნული სამსახურის სუბსიდირებასთან დაკავშირებით მომავალ სხდომაზე ისევ იმსჯელებენ.

ა(ა)იპ „რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი" 2017 წლისთვის გასულ წელთან შედარებით, ბიუჯეტში (50 000 ლარი) 1 200 ლარის დამატებას ითხოვს. როგორც ა(ა)იპ-ის დირექტორი, იზა ვეფხვაძე განმარტავს, მომავალ წელს დაგეგმილი აქვთ მასშტაბური სახალხო დღესასწაულის ორგანიზება და თანხაც ამისთვის ესაჭიროებათ. ვარლამ ჭიპაშვილის განცხადებით, კომისია მზადაა, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს საკითხის გათვალისწინების მიზნით მიმართოს.

თანხის დამატებას ითხოვს ა(ა)იპ „ხალხური შემოქმედების სახლი", რომლის დირექტორი, ქალბატონი დალი მაღრაძე, დამატებითი ჯერებლად და არგუმენტირებულად ხსნის მათ ღვაწლსა და მუშაობას ხარაგაულელი ბავშვების წარმოჩენასა და წარმატებაში. როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ, სხდომაზე აღნიშნა, ხალხური შემოქმედების სახლს ავტომატურად გამოაკლდება იმ ჯგუფის ხელფასის ოდენობა, რომელიც ამ ა(ა)იპ-ში აღარ ირიცხება და ორგანიზაციას დარჩენილი თანხა ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში დაუმტკიცდება.

ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის" დირექტორის, ბერიკა თურმანიძის, განმარტებით, ისინი 2017 წელს დამატებით თანხებს არ ითხოვენ. ვარლამ ჭიპაშვილის განცხადებით, ა(ა)იპ-ების ფუნქციები სწორად უნდა იყოს დალაგებული. მაგალითად, ტურიზმის ცენტრმა ისეთი ღონისძიებები უნდა ჩაატაროს, რომლებიც ტურიზმის განვითარებისკენ იქნება მიმართული და სხვა ა(ა)იპ-ის ფუნქციებს არ გადაკვეთს.

ა(ა)იპ „სათნოების სახლს" მო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის" ფარგლებში 17 ხარაგაულელი მოსწავლე დასაჩუქრდა

17 ნოემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის" ფარგლებში, ქალაქ ზესტაფონში იმერეთის მუნიციპალიტეტების წარჩინებული მოსწავლეები პორტატული კომპიუტერებით დაჯილდოეს.

დაჯილდოების ცერემონიალი ზესტაფონის კულტურისა და შემოქმედების ცენტრში გაიმართა და ხარაგაულიდან 17 წარჩინებული მოსწავლე დასაჩუქრდა.

„Lenovo"-ს ფირმის ნოუთბუქები გადაეცათ: ანა მაჭავარიანს (ხარაგაულის N3 საჯარო სკოლა), მარიამ კიკნაძეს (ხარაგაულის N3 საჯარო სკოლა), ნინო ტალახაძეს (ხარაგაულის N3 საჯარო სკოლა), მარიამ ჭიპაშვილს (ხარაგაულის N2 საჯარო სკოლა), ნონა მაჭავარიანს (ხარაგაულის N2 საჯარო სკოლა), ზურაბ ხაჩიძეს (ხევის საჯარო სკოლა), ნინო ხაჩიძეს (ხევის საჯარო სკოლა), ლაშა გრიგალაშვილს (ხევის საჯარო სკოლა), იაკობ გრიგალაშვილს (ხევის საჯარო სკოლა), ნია ბერაძეს (ბორის საჯარო სკოლა), დეა ბერაძეს (ბორის საჯარო სკოლა), თამარ ლომიძეს (ხუნევის საჯარო სკოლა), ნინო მაღრაძეს (ვახანის საჯარო სკოლა), თამარ ოკრიბელაშვილს (ვარძიის საჯარო სკოლა), ანზორ მაისურაძეს (კიცხის საჯარო სკოლა), ლანა ჩალხაშვილს (კიცხის საჯარო სკოლა)და გიორგი ხიჯაკაძეს (კიცხის საჯარო სკოლა).

ხარაგაულელი მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონიალს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი თინათინ ბოჭორიშვილი ესწრებოდა, რომელმაც ჩვენთან საუბარში განმარტა, რომ ეს ის მოსწავლეები არიან, რომელთაც საბაზო საფეხური წარჩინებით დაასრულეს და ბოლო სამი წლის განმავლობაში მათი საფეხურის საერთო ნიშანი, დამრგვალების გარეშე, 10 ქულაა.

მნიშვნელოვანია, რომ გასულ წლებთან შედარებით წარჩინებული მოსწავლეების სტატისტიკა მატულობს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეს წამახალისებელი აქცია მოსწავლეებში ერთგვარად მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს.

2012-2013 წლებში ხარაგაულიდან 11 წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდა, 2013-2014 წლებში - 13, 2014-2015 წლებში - 15, ხოლო წელს - 17 მოსწავლე.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოეწყო

18-19 ნოემბერს კიცხისა და ხევის ზონის მოსახლეობისთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოეწყო. შეკრებილ მოსახლეობას ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს საფინანსო—საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილმა და გამგეობის სახაზინო-საბიუჯეტო დაგეგმარების განყოფილების უფროსმა, ნინო მაღლაკელიძემ, წარუდგინეს. ბიუჯეტის საჯარო განხილვებს ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, ესწრებოდა.

2017 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობასთან შეხვედრის მიზანი, მათგან შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიღება გახლდათ.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები საზოგადოებას იმ მიმართულებებზე ესაუბრნენ, რომლებიც 2017 წლის ბიუჯეტის პროექტშია გაწერილი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის, ინფორმაციით, 2017 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი გასულ წელთან შედარებით 30 000 ლარითაა გაზრდილი და მომავალ წელს ფონდში 80 000 ლარია გათვალისწინებული. ჭიპაშვილის განმარტებით, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში გაზრდილია ასევე გზების მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხა და ის 210 000 ლარს შეადგენს.

კიცხის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, უჩა ბერაძემ, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მიესალმება ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას. მისი აზრით, ეს ძალიან კარგი საშუალებაა, მოსახლეობამ გამოთქვას შენიშვნები სოფლის პრობლემებთან დაკავშირებით, რათა მომავალი წლის ბიუჯეტში მოხდეს მათი გათვალისწინება.

ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას კიცხში არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი, ქეთინო პავლაძე ესწრებოდა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ყველას, ვისი ინიციატივითაც ეს განხილვა შედგა და განმარტა, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რაში იხარჯება მათი ფული.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი, პროექტის მიხედვით, 6 656 900 ლარს შეადგენს. აქედან, გათანაბრებითი ტრანსფერი 4 261 900 ლარია.

2017 წლის ბიუჯეტის პროექტის მორიგი საჯარო განხილვა 24 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაიმართება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის, ინფორმაციით, პროექტის საჯარო განხილვა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც იგეგმება.

ბიუროს სხდომაზე საკრებულოს კომისიების ანგარიშები მოისმინეს

21 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა საკრებულოში მოქმედი სამი კომისიის ანგარიში მოისმინეს. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, მარინე ვეფხვაძემ, კომისიის მიერ გატარებულ ღონისძიებებსა და ინიციატივებზე ისაუბრა. ასევე შეეხო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მიღწეულ წარამატებებს და ამ სფეროში არსებული პრობლემები მიმოიხილა.

ბიუროს წევრმა, იუზა კელენჯერიძემ, აღნიშნა, რომ ის ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ და ხარაგაულს ასახელებენ, აუცილებელია მუნიციპალიტეტის მიერ წახალისების მიზნით დაჯილდოვდნენ.

მარინე ვეფხვაძის განმარტებით, წარმატებული სპორტსმენები მიმდინარე წელს დაჯილდოვდნენ და ამისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხა გამოიყო. მისივე თქმით, ამ მიმართულებით 2017 წლის ბიუჯეტშიც იქნება თანხები გათვალისწინებული.

საკრებულოს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, თორნიკე ავალიშვილმა, აღნიშნა, რომ სასკოლო ავტობუსით მუნიციპალიტეტში არსებული ყველა მოსწავლე ვერ სარგებლობს, ხოლო ქეთევან ზუმბაძის თქმით, ბორის სკოლა-პანსიონში არსებულ საბავშვო ბაღსა და ა(ა)იპ „ხალხური შემოქმედების სახლში“ მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა.

მარინე ვეფხვაძის განცხადებით, აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით შეიძლება მიმართონ ინფრასტრუქტურის სამსახურს, რადგან ეს საკითხები არ არის კულტურის კომისიის პრეროგატივა.

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, მიხეილ გელაშვილმა და ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიის თავმჯდომარე, გივი ხიჯაკაძემ.

ამავე სხდომაზე მოისმინეს გამგეობის ეკონომიკის, ქონების მართვისა და შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურების ანგარიშები.

აღნიშნულ საკითხებს დეპუტატები უფრო ვრცლად საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განიხილავენ. საკრებულოს მორიგი სხდომა დეკემბრის თვის პირველ ორშაბათს, 5 დეკემბერს, გაიმართება.

მარიანა ბურჯალიანი

დეკემბრიდან „სათნოების სახლი“ ბენეფიციარებს ახალ ფართში უმასპინძლებს

სულ მალე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სათნოების სახლი“ ახალ ფართში დაიდებს ბინას. შენობაში, რომელიც ა(ა)იპ-ს უსასყიდლო უზურფრუქტის წესით გადაეცა, სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულებულია. გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტის სამშენებლო საკითხებში, გივი კურტანიძის ინფორმაციით, ახალ შენობაში სარემონტო სამუშაოები ხელშეკრულებაში ჩადებული მოთხოვნებისა და ვადების სრული დაცვით შესრულდა და შეძლებისდაგვარად მოხდა შენობის ძველი იერსახის შენარჩუნებაც.

ა(ა)იპ„სათნოების სახლის“ დირექტორის, გიორგი ჩიჩილიძის, ინფორმაციით, უფასო სასადილოს ახალი შენობა უკვე დასრულებული და კეთილმოწყობილია. „ახალ ფართში, ახლა მხოლოდ დენის, ბუნებრივი აირისა და წყლის სისტემაა მოსაწესრიგებელი, რომელსაც გარკვეული დრო და პროცედურები სჭირდება. ვფიქრობთ, დეკემბრის თვიდან ბენეფიციარებს ახალ შენობაში ვუმასპინძლებთ. მნიშვნელოვანია ასევე, რომ მომავალი წლიდან ,,სათნოების სახლი“ ახალ ფუნქციას შეიძენს. სასადილოდ მოსული ბენეფიციარები აქ დაისვენებენ, უყურებენ ტელევიზორს, ექნებათ ერთმანეთთან მეტი კომუნიკაცია და ბევრად უფრო კომფორტულად იგრძნობენ თავს“ - განაცხადა ჩვენთან საუბარში გიორგი ჩიჩილიძემ.

„სათნოების სახლის“ ახალი შენობისთვის სარემონტო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და პროექტზე 14 900 ლარი დაიხარჯა.

ა(ა)იპ „სათნოების სახლი“ ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩაზე განთავსდება.

ეკა შავიძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე 2017 წლის ბიუჯეტის პროექტზე იმსჯელეს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მავალი წლის ბიუჯეტში დამატებითი სუბსიდია ახლად გარემონტებულ ფართში საჭირო ინვენტარის შეძენისათვის ესაჭიროება. როგორც კომისიის წევრებმა სხდომაზე იმსჯელეს, ბენეფიციარების სრულყოფილი და კომფორტული მომსახურებისთვის თანხების დამატება აუცილებელია და ამისთვის მიმდინარე წლის ბიუჯეტის სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან გარკვეული თანხის მობილიზება შეიძლება მოხდეს. ვარლამ ჭიპაშვილმა სხდომაზე ასევე აღნიშნული ა(ა)იპ-ის მომსახურების ტენდერზე გატანის საკითხზე იმსჯელა. მისი აზრით, თუ ეს მოხდება, საკმაოდ დიდი თანხები დაიზოგება.

მომავალი წლის ბიუჯეტში სუბსიდიის დამატებას არ ითხოვს ასევე ა(ა)იპ „სამუსიკო სკოლა“. მისი დირექტორის, ქალბატონი ლალი ალექსიძის განმარტებით, მართალია, მომავალ წელს სკოლა გეგმავს საიუბილეო ღონისძიებას, მაგრამ ყველანაირად შეეცდებიან, რომ ღონისძიების ჩატარება საკუთარი შემოსავლებიდან უზრუნველყონ.

რაც შეეხება ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრს“, ვარლამ ჭიპაშვილი ამბობს, რომ პროექტის მიხედვით, ბიუჯეტში წარმატებული სპორტსმენების წახალისება არ არის გათვალისწინებული. ვფიქრობთ, ეს აუცილებელია და ამის ასახვა ბიუჯეტში წლის დასაწყისშივე უნდა მოხდეს. კომისიის წევრები აღნიშნულ საკითხზე ა(ა)იპ-ის დირექტორთან ერთად უახლოეს დღეებში იმსჯელებენ.

გარკვეული მოთხოვნები აქვს კომისიის თავმჯდომარეს ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ მიმართ. ვარლამ ჭიპაშვილის განმარტებით, თუ ა(ა)იპ-ი არ შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც მას მიმდინარე წელს აქვს აღებული, პირადად ის კეთილმოწყობის სუბსიდირებას მხარს არ დაუჭერს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის განმარტებით, ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის, ირმა სებისკვერაძის, მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში ახლად აშენებული საბავშვო ბაღების (ღორეშა, წიფა) ფუნქციონირებისათვის თანხები გათვალისწინებული არ არის. ასევე, ბიუჯეტში არ არის თანხა ნადაბურის ალტერნატიული ბაღის მოვლა-შენახვისთვის. კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მისასალმებელია, რომ არ შემცირდეს ა(ა)იპ-ებში ხელფასები და შტატები, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდება ზოგიერთი ა(ა)იპ-ის შემთხვევაში, ბუნდოვანია, საიდან გამოთავისუფლდება თანხები, რომელიც კონკრეტული ვალდებულებების დაფარვას სჭირდება.

„ჩვენი ვალდებულებაა, ყველაფერი გავაკეთოთ ისე, რომ არ მოხდეს მტკივნეული ცვლილებები. ყველა დეტალი კარგად გავიაზროთ და მივიღოთ გონივრული გადაწყვეტილებები. მომავალ წელს საბიუჯეტო ცვლილებები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში განხორციელდება და ა(ა)იპ-ები დიდი ალბათობით დამატებით თანხებს ვეღარ მიიღებენ,“ - განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

ეკა შავიძე

ლიტერატურული ბილიკის ჯვალდაჯვალ

იზა ვეფხვაძე ის ქალბატონია, რომლის ხსენებაზე წინ საქართველოს უახლესი ისტორია გვეხატება. საოცარია ამ ადამიანის ნიჭი, მეხსიერების უნარი, მეტყველების ხარისხი და სასცენო ოსტატობა.შეუძლებელია, გულისყურით უსმენდეთ ისტორიას გრიგოლ ფერაძეზე, რეზო თაბუკაშვილზე, იოსებ ჟორდანიასა და მამა ილია კარტოზიაზე და გულში ტკივილი არ იგრძნოთ...

ქართველებს 26 საუკუნოვანი ისტორია გვაკავშირებს ებრაელებთან. ამ ურთიერთობას ბზარი არასდროს გასჩენია. მეგობრობის სახელს ამაყად და მტკიცედ ვატარებთ. შესანიშნავი წარსული, რომელიც იზა ვეფხვაძის მინი ლიტერატურულ სპექტაკლზე („ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“) მოვისმინეთ, ამაღელვებელი აღმოჩნდა. იზა ვეფხვაძემ ფაქტობრივად ებრაელთა ცხოვრების ერთი დიდი წიგნი გადაგვიშალა. სიღრმისეულად ჩაგვახედა მის წიაღში.

სამწუხაროა, რომ აქამდე არ ვიცნობდით ქალბატონ იზას და, ბუნებრივია, მისი შემოქმედებისგანაც შორს ვიყავით. საბედნიეროდ, მოსწავლეთა ეროვნულ სასახლეში შესვლისთანავე და ქალბატონი იზას სცენაზე გამოჩენისთანავე პირველმა ემოციამ ისე შეგვიპყრო, სულგანაბულებმა დავიწყეთ მოსმენა. ქალბატონი იზა მისაბაძი მაგალითი გახდა თითოეული ჩვენგანისათვის. მან ძალიან შთამბეჭდავად გადაგვიშალა პატიოსნებითა და ღირსებით გამორჩეულ ქართველ-ებრაელთა ბიოგრაფიები.

ჩვენ ვართ ამაყნი, რომ ვიცნობთ ქალბატონ იზა ვეფხვაძეს და გვწამს, რომ მასთან ურთიერთობა კვლავ გაგრძელდება, რაც სასიამოვნო კვალს დატოვებს თითოეული ჩვენგანის ზნეობრივ სამყაროში.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები

მ ი ლ ო ც ვ ა

ვულოცავთ საიუბილეო თარიღს - დაბადების 75 წლისთავს - ღირსეულ ქართველ ქალბატონს, შრომისმოყვარეობით, პატიოსნებითა და სიკეთით გამორჩეული ოჯახის დედაბოძს, ქალბატონ **ვენერა ტყემალაძე-ლურსმანაშვილს.**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას საყვარელ ოჯახთან და შთამომავლობასთან ერთად,

სიყვარულითა და პატივისცემით -
ვენერა კიკნაძე,
მერი გიორგიძე

ვახანში ძიუდოს საჭიდაო დარბაზი გაიხსნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახანში ძიუდოს საჭიდაო დარბაზი გაიხსნა. პროექტი საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ (პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი) დააფინანსა და მისი ავტორი ხარაგაულელი მირზა ინასარიძეა.

ადგილობრივებს საჭიდაო დარბაზის გახსნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე, შალვა გოგოლაძემ, მიულოცა და ვახანელ ახალგაზრდებს წარმატებები უსურვა.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი თვლის, რომ ვახანში ძიუდოს საჭიდაო დარბაზის გახსნა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ვახანის საჭიდაო დარბაზის ძიუდოს სექციის მწვრთნელი, თორნიკე ინასარიძე, ფიქრობს, რომ ვახანელებს ნამდვილად აქვთ ის პოტენციალი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებებს მიაღწიონ.

ძიუდოს საჭიდაო დარბაზის გახსნას სოფელ ვახანში საქართველოს ძიუდოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გურამ მოდებაძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეული გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის ცენტრის“ დირექტორი, დავით გელაშვილი, პროექტის ავტორი მირზა ინასარიძე და ასევე სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

სოფელ ვახანში ძიუდოს საჭიდაო დარბაზი არასდროს ყოფილა. აღსაზრდელების მთავარი მწვრთნელი, ძიუდოისტი თორნიკე ინასარიძე იქნება, რომელიც 20 წელია სპორტის სფეროში მოღვაწეობს.

ამ ეტაპზე ვახანის ძიუდოს დარბაზში 30-მდე აღსაზრდელია, მათ შორის, შვიდი გოგონაა. ძიუდოს ფედერაციამ პატარა სპორტსმენებს სამახსოვროდ ტატამი და კიმონოები გადასცა და მწვრთნელის კვალიფიკაციის ამაღლებაზეც იზრუნა.

ძიუდოს წრეზე სოფელ ვახანში არა მარტო ამ სოფლის მკვიდრნი, არამედ მეზობელი სოფლის მცხოვრებლებიც ივლიან.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულელი სპორტსმენების მორიგი წარმატება

12-13 ნოემბერს ამბროლაურში გურამ საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში, რომლშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოჭიდავეებთან ერთად რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები მონაწილეობდნენ. ტურნირში წარმატებით იასპარეზა ხარაგაულის „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ აღსაზრდელმა შოთა თაბაგარმა (მწვრთნელი რეზო შერგელაშვილი) , რომელმაც 63 კგ წონით კატეგორიაში II საპრიზო ადგილი დაიკავა.

* * *

11 ნოემბერს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში გაიმართა მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ძიუდოში, რომელშიც მონაწილეობდნენ ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის მოსწავლე ძიუდოისტები. აღნიშნული ტურნირი წარმატებული ძიუდოისტისა და მწვრთნელის, ტარიელ შავიძის, ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრი 2002 — 2004 წწ და 2005 — 2007 წწ ასაკობრივ ჯგუფებში ჩატარდა.

ჩემპიონები გახდნენ 2005 — 2007 წწ:

1. 23კგ - გიორგი ხარაძე - ხევი;
2. 26კგ - საბა სებისკვერაძე- ბორითი;
3. 29კგ - ბაჩო წითელაშვილი - ზესტაფონი;
4. 32კგ - გიორგი ბარბაქაძე - ბორითი;
5. 36კგ - ნიკა ლურსმანაშვილი - ხარაგაული;
6. 40კგ -ტარიელ ღავთაძე - ზესტაფონი;
7. 45კგ - ბექა თურმანიძე - ზესტაფონი;
8. 50კგ - გოგი წვერავა - ზესტაფონი;
9. +50კგ - ზურა გავაშელაშვილი-თერჯოლა.

2002 — 2004 წწ:

1. 35კგ - თენგიზ ხიდაშელი - ზესტაფონი;
2. 40კგ - ნიკა ლომიძე- საჩხერე;
3. 45კგ - შოთა გაჩეჩილაძე- ზესტაფონი;
4. 50კგ - გიორგი ლაცაბიძე - საჩხერე;
5. 55კგ - რამინ მჭედლიძე- ზესტაფონი;
6. 60კგ -აკაკი ხაჩიძე - ხევი;
7. 66კგ -ლევან ხაჩიძე - ხევი;
8. უჩა ტაბატაძე - ზესტაფონი;
9. +73კგ - შალვა გურეშიძე - ზესტაფონი.

ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში ტრენინგები მიმდინარეობს

ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში უკვე რამდენიმე დღეა, ახალგაზრდებისათვის ტრენინგები მიმდინარეობს. ტრენინგის ძირითადი თემა მენეჯმენტი და სოციალური მედიაა და იგი USAID-სა და ჯეოლაბის ერთობლივი პროექტია. ინოვაციების ცენტრში კი აღნიშნული ტრენინგი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ეგიდით ხორციელდება.

როგორც ჩვენთან საუბარში ჯეოლაბის პიარისა და კომუნიკაციების მენეჯერი(ტრენერი)ლიკა მოშიაშვილი აცხადებს, აღნიშნული ტრენინგებით ახალგაზრდები ისწავლიან, თუ როგორ უნდა მიიღონ სხვადასხვა პროექტში მონაწილეობა, ასევე ისინი მიიღებენ ინფორმაციას სოციალური მედიის შესახებ.

„როგორც იცით, ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სოციალურმა მედიამ წინ წამოიწია. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებმა იცოდნენ ის ელემენტარული უნარ-ჩვევები, რათა იგი საჭიროებისამებრ გამოიყენონ. ტრენინგის ერთ-ერთი თემა იქნება კრეატიული აზროვნების განვითარებაც. ყოველივე ეს მათ საშუალებას მისცემს, იყვნენ უფრო აქტიურები და დამოუკიდებლები.“-განმარტავს მოშიაშვილი.

ინოვაციების ცენტრის მენეჯერი, ლიკა სვანიძე, ამბობს, რომ მსგავსი ტიპის ტრენინგები, ხარაგაულის ჩათვლით, სულ ხუთ მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. სვანიძე იმედოვნებს, რომ პროექტებში მონაწილე ახალგაზრდები აქ მიღებულ ცოდნას სამომავლოდ აუცილებლად გამოიყენებენ.

ტრენინგებით კმაყოფილი არიან თავად მსმენელებიც. წყალაფორეთის საჯარო სკოლის მოსწავლე, გიორგი ქოჩიაშვილისთვის, ინოვაციების ცენტრში გატარებული დღეები საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა.

„ვფიქრობ, მსგავსი ტიპის აქტივობები ხელს გვიწყობს განვითარებაში. ბევრი ახალი ვისწავლეთ ვებ - დიზაინთან დაკავშირებით. ჩვენ შეგვიძლია, მომავალში საკუთარი დიზაინით შევქმნათ პროდუქცია და გავაკეთოთ ბიზნესი, რაშიც აქ მიღებული ცოდნა ნამდვილად დაგვეხმარება.“

მესამე საჯარო სკოლის მოსწავლე, ანა მაჭავარიანი, ამბობს, რომ ტრენინგი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ბევრი ისეთი რამ ისწავლა, რაც აქამდე მისთვის უცხო იყო. „ ბევრი საინტერესო გავიგე სოციალური მედიის შესახებ. ვისწავლე სამოტივაციო წერილის დაწერა და სივის შედგენა. ყოველივე ეს კი პრაქტიკაში აუცილებლად გამომადგება,“-განმარტავს მაჭავარიანი.

ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში ტრენინგების ჩატარება მომავალშიც იგეგმება.

ეკა შავიძე

ხარაგაულში ექსტრემალური თავგადასავლების მოყვარულთათვის „ზიპ ლაინი“ მოეწყო



23 ნოემბერს ხარაგაულში ექსტრემალური თავგადასავლების მოყვარულთათვის „ზიპ ლაინი“ მოეწყო. კულტურისა და დასვენების პარკში გაჭიმულ სპეციალურ ბაგირზე ნებისმიერ მსურველს შეეძლო დაშვება. „ზიპ ლაინი “ ა(ა)იპ „ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის” ინიციატივითა და იმერეთის სკაუტური ორგანიზაციის დახმარებით მოეწყო და მასში მონაწილეობა ძირითადად ახალგაზრდებმა და სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს.

ხარაგაულის ა(ა)იპ „ტურიზმის ცენტრის“ დირექტორი, ბერიკა თურმანიძე, აღნიშნავს, რომ ექსტრემალური ტურისტული სერვისი - „ზიპ ლაინი“ საქართველოში ახალი დაფუძნებულია და იმერეთის სკაუტურ მოძრაობასთან ერთად გადაწყვიტა მისი ხარაგაულში მოწყობა. მისივე თქმით, შესაძლოა, მომავალში „ზიპ ლაინი“ მდინარე ჩხერიმელაზე მოეწყოს.

შეგახსენებთ, „ზიპ ლიანი“ ეს არის ორ მყარ წერტილზე დამრეცად გაჭიმულ ფოლადის ბაგირი, რომელზეც თავისუფლად მოძრაობს გორგოლაჭების სისტემა.

საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა“ 10 ათასი ლარით დაჯარიმდა

10 ნოემბერს გამართულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის სხდომაზე უეფას თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემიდან მიღებული ანგარიშები განიხილეს.

სადისციპლინო კომიტეტმა საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა“ თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემიდან მიღებულ ზედიზედ ორ რაპორტში მოხვედრის გამო 10 000 ლარით დააჯარიმა. „ჩხერიმელა“ ასევე, მოიხსნა პირველი ლიგის გათამაშებიდან. გადაწყდა, რომ კლუბს დარჩენილ მატჩებში ჩაეთვალოს 0:3 წაგება, ხოლო აქამდე ჩატარებული მატჩების შედეგები დარჩეს ძალაში და მოხდეს მის მიერ დაგროვებული ქულების ანულირება.

საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელას“ დირექტორი, ზურაბ გიორგიძე, ბოდიშს უხდის ხარაგაულელ გულშემატკივარს და აცხადებს, რომ ისინი, ვინც გარიგებაში მონაწილეობდნენ, აუცილებლად დაისჯებიან. „ამჟამად „ჩხერიმელას“ ფეხბურთელები და გუნდის მწვრთნელები სამსახურიდან გათავისუფლებული არიან. მწვრთნელები ამბობენ, რომ მომხდარ ფაქტთან მათ არანაირი კავშირი არ აქვთ და დამნაშავის სათანადოდ დასჯას მოითხოვენ. მიმდინარეობს საქმის გამოძიება. გუნდს ადგილობრივი ხელისუფლებიდან ყველანაირი ხელშეწყობა ჰქონდა და ასეთ უღირს საქციელს ნამდვილად არ უნდა ჰქონოდა ადგილი. კიდევ ერთხელ საჯაროდ ბოდიში მინდა, მოვუბადო ჩვენს გულშემატკივრებს,“- აცხადებს ზურაბ გიორგიძე.

მისივე თქმით, ა(ა)იპ-ს სხვადასხვა ვალდებულების გასასტუმრებლად თანხები სჭირდება. დასაფარია კლუბის კვებისა და ტრანსპორტირების თანხები, ასევე, გადასახდელია 10 000 ლარიანი ჯარიმა, რომელზეც კლუბის დირექტორი ამბობს, რომ საიდან უნდა მოიძიონთ ეს თანხა, არ ვიცით.

ზურაბ გიორგიძე სამომავლო გეგმებზეც საუბრობს და იმედს გამოთქვამს, რომ გუნდი ისევ შედგება და ძირითადი აქცენტი ხარაგაულელ ფეხბურთელებზე გაკეთდება.

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა-2009“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. 2016 წლიდან გუნდის თანადაფინანსების ვალდებულება ფეხბურთის ფედერაციამაც აიღო. კლუბს მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 240 000 ლარი გამოეყო, ხოლო ა(ა) იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდმა“ 44 779 ლარით დააფინანსა.

მომდევნო წლიდან საფეხბურთო კლუბ„ჩხერიმელას“ დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღარ იგეგმება. თუკი გუნდი ფუნქციონირებას კვლავ განაგრძობს, მისი დაფინანსების ვალდებულებას მთლიანად ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“ აიღებს.

საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელაში“ მომხდარი ფაქტით დაინტერესდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც. ვითარების გარკვევის მიზნით ადგილზე იმყოფებოდნენ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე შალვა ლურსმანაშვილი, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მარინა ვეფხვაძე, იურდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, მიხეილ გელაშვილი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნული საკითხის საჯარო განხილვას საკრებულოს უმრავლესობა უახლოეს დღეებში გეგმავს, რომელზეც მოწვეული იქნება კლუბის დირექტორი ზურაბ გიორგიძე.

მარიანა ბურჯალიანი

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 01.01.2016 წ. - 31.12.2016 წ.

1.შესავალი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური ფუნქციონირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 08 სექტემბრის 41 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებული დებულების საფუძველზე. სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის გამგეობის წინაშე, ასევე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება, შემონმებული ობიექტების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწავლა - ანალიზი და მათი თავიდან აცილების გზების განსაზღვრა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას.

2. მოკლე მიმოხილვა

2016 წლის წლიური გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 10 არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის და მუნიციპალიტეტის 100% წილით საკუთრებაში მყოფი შ.პ.ს. „ხარაგაული 2011"-ის აუდიტორული შემოწმება. აღნიშნულ ობიექტებს ჩაუტარდათ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. ა/წ იანვრიდან დღემდე, აღნიშნული გეგმის საფუძველზე აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა: ა(ა)იპ „ცენტრალურ ბიბლიოთეკას", ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას", სსიპ „ბორის საჯარო სკოლა პანსიონს", ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009-ს", ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს", ა(ა)იპ „ბორის საჯარო სკოლა პანსიონს", ა(ა)იპ „ცენტრალურ ბიბლიოთეკას", ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას", სსიპ „ბორის საჯარო სკოლა", ა(ა)იპ „ჩხერიმელა 2009-ს", ა(ა)იპ „რეზო თამბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულ თეატრს", შ.პ.ს „ხარაგაული 2011-ს", ა(ა)იპ „სათნოების სახლს", ა(ა)იპ „ხარაგაულ დასუფთავებას", ა(ა)იპ „ბოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს", ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის (ცენტრს", ა(ა)იპ ხალხური შემოქმედების სახლს". ასევე, 2014 წლის აუდიტორული შემოწმების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად მონიტორინგი ჩაუტარდა 2015 წელს შემოწმებულ ობიექტებს: ა(ა)იპ ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს", ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს", ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის (ცენტრს", ა(ა)იპ ცენტრალურ ბიბლიოთეკას", ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას", სსიპ „ბორის საჯარო სკოლა", ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009-ს", ა(ა)იპ „რეზო თამბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულ თეატრს", შპს „ხარაგაული-2011-ს", ა(ა)იპ „სათნოების სახლს", ა(ა)იპ „ხარაგაულ დასუფთავებას".

3. განხორციელებული ღონისძიებები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2016 წლს ა(ა)იპ -ში ჩატარებული ყველა აუდიტორული შემოწმება მოიცავს პერიოდს 2016 წლის 01 იანვრამდე.

ა(ა)იპ „ცენტრალური ბიბლიოთეკა"

2016 წლის 12იანვრიდან 11 თებერვლის ჩათვლით პერიოდში აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ „ცენტრალურ ბიბლიოთეკას".

2013-2015 წლების საკანცელარიო საქმისწარმოებაში აღმოჩენილი იქნა ხარვეზები, კერძოდ, ზოგიერთი შემოსული და გასული კორესპონდენცია არაა გატარებული შესაბამის ჟურნალებში. ზოგიერთი კორესპონდენცია არაა შესაბამის წიგნში აკინძული. 2015 წლის შემოსული კორესპონდენციის ჟურნალში არაა დოკუმენტების გატარების თარიღები მითითებული. შესამოწმებელი პერიოდის თანამშრომლთა განცხადებებს შვებულებაში ნასვლის შესახებ არ აღევს დირექტორის რეზოლუცია. 2015 წელს ბაულ 2 კორესპონდენციას ასვია ერთი და იგივე ნომერი N8. 2014წლის შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების ნუმერაცია არასისრნადაა განხორციელები, კერძოდ, 2 ხელშეკრულებას ასვია ერთი და იგივე ნომერი,N 30,31, 34, 35 ხელშეკრულებები არ არსებობს, ხოლო აღრიცხულია N29, 32 ხელშეკრულებები. ესე იგი, ხელშეკრულებები შეცდომითაა დანომრილი. 2013-2014 წლების ბრძანებების წიგნში აღინიშნება ჩასწორებები. შრომით ხელშეკრულებებში არაა მითითებული შრომითი დავის გადაწყვეტის წესი. გადახარჯვებს აქვს ადგილი სხვადასხვა კლასიფიკაციის მიხედვით.

2013-2015 წლების ზოგიერთ საშტატო განრიგს არ ასვია თარიღი, რითაც ძნელდება გარკვევა, თუ რომელი პერიოდის მონაცემებს შეიცავს ის.

2013-2015 წლების შესყიდვები ნაწარმოებია ხარვეზებით, კერძოდ, 2013-2014 წლებში შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები და ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არაა ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2013 წლის შესყიდვების გეგმის შესახებ შეტყობინება არაა გაგზავნილი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ხოლო 2014-2015 წლების კანონის შესაბამისადაა ატვირთული. 2015 წელს ხელშეკრულებები და შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ატვირთულია დაგვიანებით.

ა(ა)იპ „ცენტრალური ბიბლიოთეკის" 2014 წლის შესყიდვების გეგმა იყო ატვირთული 10400 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია ხელშეკრულებები 20581 ლარის ღირებულების, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 19343 ლარის ღირებულების. შესყიდვების თანხები გაღებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან. შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვებით.

ა(ა)იპ „ცენტრალური ბიბლიოთეკის" 2015 წლის შესყიდვების გეგმა იყო ატვირთული 7400 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია ხელშეკრულებები 32029 ლარის ღირებულების, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 30876 ლარის ღირებულების. შესყიდვების თანხები გაღებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან. შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვებით.

ა(ა)იპ „ცენტრალურ ბიბლიოთეკას" 2013 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჩაერიცხა 110200 ლარი, სხვა შემოსავალმა შეადგინა 3385 ლარი. (მ.შ: ბანკიდან სარგებლის ჩარიცხვა 30 ლარი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან 3000 ლარი, სხვა შემოსავალი 355 ლარი). სულ შემოსავალმა შეადგინა 113585 ლარი.

2013 წლის დასაწყისში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ა(ა)იპ „ცენტრალურ ბიბლიოთეკას" დაუმტკიცა საშტატო განრიგი 38 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 6500 ლარი. 2013 წლის სექტემბრის თვიდან საკრებულომ დაამტკიცა 41 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდი - 8100 ლარი.

ა(ა)იპ „ცენტრალურ ბიბლიოთეკას" 2013 წელს ხარჯებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით აქვს გადახარჯვა შემდეგი სახის ხარჯებში: განხწერით, შრომის ანაზღაურება შეადგენს 90134 ლარს, ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა 93539 ლარი, სხვაობა შეადგენს 3405 ლარს. არაფინანსური აქტივების ზრდა დაგეგმილი არ იყო, ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა - 1915 ლარი, სხვაობა შეადგენს 1915 ლარს.

ა(ა)იპ „ცენტრალურ ბიბლიოთეკას" 2015 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჩაერიცხა 208400 ლარი, სხვა შემოსავალმა შეადგინა 275 ლარი. (მ.შ: ბანკიდან სარგებლის ჩარიცხვა 275 ლარი) სულ შემოსავალმა შეადგინა 208675 ლარი.

2015 წლის დასაწყისში დამტკიცებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ა(ა)იპ „ცენტრალური ბიბლიოთეკის" საშტატო განრიგი 47 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 1280 ლარი. იენისის თვეში-48 საშტატო ერთეული,ხელფასის თვიური ფონდით 14615 ლარი. მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ მ.შ ხელფასამა შეადგინა 172115 ლარი,82,4%-ი, მათ შორის პრემია 3260 ლარი. მიელინებამ-1734 ლარი, 0,7%-ი,კომუნალურმა ხარჯმა-2162 ლარი, 1%-ი, ოფისის 10841 ლარი,5,2%-ი, ინვენტარის 6996 ლარი, 3,4%-ი ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა-2525 ლარი, 1,25%-ისხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯმა-2096 ლარი, 1%-ი.

ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება"

ა/მ წლის 11 თებერვლიდან 17 მარტამდე აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას"-ს. 2014 -2015 წლების საკანცელარიო საქმისწარმოებაში აღმოჩენილი იქნა ხარვეზები, კერძოდ, ბრძანებების წიგნში ერთი ბრძანებითაა რამდენიმე თანამშრომელი მივლინებით გაგზავნილი. ასეთივე შემთხვევაა თანამშრომელთა შვებულებაში გაშვებაზეც. კონკრეტულობისათვის, სასურველია ასეთი შინაარსის ბრძანებები შედგეს თითოეულ თანამშრომელზე ცალ-ცალკე.

გაერთიანების 8 თანამშრომელზე გაცემულია 2014-2015 წლებში მობილური ტელეფონის სასაუბრო ბარათები, რაზეც არ არის შედგენილი დირექტორის მიერ სათანადო ბრძანება. საავადმყოფო ფურცელზე მყოფ თანამშრომლებზე დაწერილია მხოლოდ დაბრუნების შესახებ ბრძანება,სასურველია ბრძანება დაიწეროს საავადმყოფო ფურცელზე გასვლის შესახებაც.

გაერთიანებას ინვენტარიზაცია ჩატარებული აქვს 2014 წელს, ხოლო 2015 წელს არ აქვს ჩატარებულ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გაერთიანების ბაღებში აღმოჩნდა დარღვევები შესაბამისი მიმართულებით. სააგენტოს მიერ მიცემული მითითებები ნაწილობრივ იქნა შესრულებული. თუმცა, ისევ არის ხარვეზები, კერძოდ, ბაღებში არ არის ისეთი სადილის მოსამზადებელი ქვაბები, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებს დაბინძურების რისკს; N 2 ბაღში ბავშვების და მომსახურე პერსონალის ტუალეტის ოთახები არაა მოწყობილი ისე, რომ იძლეოდეს ადეკვატ რეცხვა-დეზინფექცირების საშუალებას; ხორცის პროდუქტების გადასატანად არ აქვთ სპეციალური ცივი ყუთები(თერმო ჩემოდნები) და ამ მიზნით იყენებენ ხარაგაულის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის" კუთვნილ თერმოჩემოდნებს, თუმცა ამ უკანასკნელ სუბიექტთან არ აქვთ შესაბამისი სამართლებრივი ხელშეკრულება დადებული. სასურველია, კანონთან შესაბამისობის რისკის დაძლევისათვის გაფორმდეს მხარეებს შორის ასეთი ხელშეკრულება.

სოფლებში მდებარე საბავშვო ბაღებში არ არის სამზარეულოსა და საპირფარეშოების დასალაგებელი მოწყობილობების,სარეცხი,სადეზინფექციო,სადერიატიზაციო(-მწერების),სადეზინფექციო(საპირფარეშოს გამწმენდები) საშუალებების შესანახი იზოლირებული კარადა, რაც ენინააღმდეგება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N78 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის-ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" მე-12 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნას.

წყლის მიკრობიოლოგიური შემოწმება, რაც აუცილებელი მოთხოვნაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილებისა „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" განხორციელებულია 2015 წლის მაისის თვიდან შპს „სადეზინფექციო ცენტრ ჰიგია+"-თან დადებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად , ხოლო 2014 წელს ასეთი მომსახურეობა არ ხორციელდებოდა.

ი.მ „გიზო ბუაჩიძეს" გადაერიცხა 895 ლარი 10.12.21014 წ.გადარიცხვაში აღნიშნულია,რომ გადაერიცხა ავგო მანქანით მომსახურეობის ღირებულება 2014 წლის 2 ოქტომბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით. ხელშეკრულება N82 თანხით 1000 ლარი კი გაფორმებულია 8 დეკემბერს. ასევე ი.მ."მაია ბარბაქაძესთან" გაფორმებულია ხელშეკრულება N104 თანხით 480 ლარი 30 დეკემბერს გადარიცხვა კი განხორციელდა 24 დეკემბერს.ე.ი. აღნიშნულმა მეწარმეებმა მომსახურობა განიეს ხელშეკრულების გარეშე, რითაც დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-16 მუხლის 1 პუნქტის და ამავე კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნები.შესყიდვების ხელშეკრულება იდება ყოველთვის წერილობითი ფორმით,რასაც მოსდევს მომსახურება და შესაბამისი თანხის ჩარიცხვა.სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლი გარიგების ნამდვილობისთვის მხარეებს ავალდებულებს გარიგების ფორმის დაცვას.ხელშეკრულების ფორმის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს გარიგების ბათილობის რისკი.

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება" დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების საააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვით და ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. შესყიდვების თანხები გაღებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან.

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" 2014 წელს ხარჯებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით აქვს გადახარჯვა შემდეგი სახის ხარჯებში: განხწერით, შრომის ანაზღაურება შეადგენს 417891 ლარს, ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა 418034 ლარი, სხვაობა შეადგენს 143 ლარს. არაფინანსური აქტივების ზრდა საკანცელარიო საქონლის მუხლში შეადგენს - 2200 ლარს, ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა -2362 ლარი, სხვაობა შეადგენს 162 ლარი,კომუნალური ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 35246 ლარი ფაქტიური ხარჯი კი 35413 ლარია,სხვაობა შეადგენს 167 ლარს (მ.შ.წყლის ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 7300 ლარი ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა 7465 ლარი, სხვაობა შეადგენს 165 ლარს,კანალიზაციისა და ასანიზაციის ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 1200 ლარი ფაქტიური შესრულება კი შეადგენს 1202 ლარს სხვაობა შეადგენს 2 ლარს).რბილი ინვენტარის შეძენისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 5400 ლარი,ფაქტიურად კი შეძენილ იქნა 5523 ლარის სქონელი, სხვაობამ შეადგინა 123 ლარი.

2015 წლის დასაწყისში დამტკიცებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" საშტატო განრიგი 124 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 584 184 ლარი. თებერვლის თვეში დამტკიცებულია 148 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 655 264 ლარი. მაისის თვეში - 151 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 667 388 ლარი. ივნისის თვეში -160 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 745388 ლარი. 15 სექტემბრიდან 168 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 676 796 ლარი. დეკემბრის თვეში -178 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 680 372 ლარი.

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" 2015 წ. სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან განწერით ეკუთვნის 872000 ლარი. გაწეულია 871 238 ლარის ხარჯი, ეკონომია გაწეულია სოციალური ხარჯის ეკონომიის გამო. განწერით, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 670358 ლარი, 76.94%- ი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 565 ლარი 0.07%, მიელინებამ - 1469 ლარი, 0.17 % - ი, კომუნალურმა ხარჯმა - 34973 ლარი 4.01 % - ი, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯმა - 2606 ლარი, 0.3 % - ი, კვების ხარჯი 100112 ლარი 11.49 %,მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი 14726 ლარი, 1.69 %.საკანცელარიო საქონელი 3849 ლარი, 0.44 %,საოფისე ინვენტარის შეძენა 3195 ლარი 0.37 %,სანიტარული საგნების ხარჯი 4200 ლარი, 0.48 %, რეცხვა ქიმწმენდის ხარჯი 4126 ლარი, 0.47 %, სხვა ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული 19195 ლარი, 2.20 % - ი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა -4898 ლარი , 0.56 % - ი. სოციალური ხარჯი აქტივების (ბიულეტინი) 2141 ლარი, 0.26%,სამედიცინო ხარჯი 411 ლარი, 0.04%, კავშირგაბმულობის ხარჯი 1643 ლარი, 0.19%, არაფინანსური ხარჯი 2770 ლარი, 0.32 %.

სსიპ „ბორის საჯარო სკოლა"

2016 წლის 17 მარტიდან 18 თებერვლამდე აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა სსიპ„ბორის საჯარო სკოლას". შემოწმებისას გამოვლინდა რიგი უმნიშვნელო დარღვევები კერძოდ; სკოლის შენობაში მოუწესრიგებელია სველი წერტილები, ვაჟები და გოგონები სარგებლობენ ერთი და იგივე საპირფარეშო ოთახებით და საბაზანოთი. საბაზანოშიევა განთავსებული სარეცხი მანქანა.

წყლის მიკრობიოლოგიური შემოწმება, რაც აუცილებელი მოთხოვნაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილებისა „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" განხორციელებულია 2014-2015 წლებში, ხოლო 2013 წელს ასეთი მომსახურეობა არ განხორციელებულა.

სკოლაში სწავლობს 6 ინკლუზიური მოსწავლე სპეციალური პროგრამის მიხედვით.

სკოლასთან ფუნქციონირებს სკოლამდელი დაწესებულება(საბავშვო ბაღი), სადაც ბავშვების გამოკვება ხდება ყოველდღიური მენიუს შესაბამისად. მაგრამ მენიუში არაა გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N78 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, მენიუში ყოველდღიურად არაა გათვალისწინებული ხორც- პროდუქტები, ხოლო არაჟანი საერთოდ არაა გათვალისწინებული, რის გამოც შესაძლოა არ შეიავსოს ბავშვთა ენერგეტიკული ღირებულება სრულად და ხელი შეეშალოს ბავშვის ნორმალურ განვითარებას.

სკოლა დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების საააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. შესასყიდად საჭირო გახდა დამატება და ორივე შემთხვევაში შესყიდვა მოხდა გადაუდებელი აუცილებლობის გამო. 2014 წლის განმავლობაში დადებული ზოგიერთი ხელშეკრულება და შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაგვიანებითაა ატვირთული შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. აღნიშნულით ირღვევა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N 9 ბრძანების „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მე-15 და 221-ე მუხლის მოთხოვნები.

ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" 2014 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან დაზუსტებული გეგმით დამტკიცებული აქვს 550300 ლარი სუბსიდიის სახით. განწერით, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 418034 ლარი, 75,88%, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 880 ლარი,0,16%, მიელინებამ -494 ლარი, 0,09 % - ი, კომუნალურმა ხარჯმა - 35419 ლარი, 6.43 % - ი, სხვა ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული 3954 ლარი, 0.72 % - ი, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯმა - 6160 ლარი, 1,12 % - ი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა - 3615 ლარი, 0,66 % - ი, საოფისე ინვენტარის შეძენა-4178 ლარი,0,76%, რბილი ინვენტარის შეძენა 5523ლარი,1%, კვების ხარჯი 59056 ლარი,10,72%,სანიტარული საგნების ხარჯი 2162ლარი, 0,39%,საკანცელარიო საქონლის ხარჯი 2362 ლარი, 0,43%,რეცხვა-ქიმწმენდის ხარჯი 1799 ლარი, 0,32%,კავშირგაბმულობის ხარჯი 1597 ლარი,0,29%,სამედიცინო ხარჯი 168 ლარი, 0,03%,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა 3500 ლარი, 0,64%, არაფინანსური აქტივების ხარჯი 2000 ლარი, 0,36%.

2014 წლის დასაწყისში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" დაუმტკიცა საშტატო განრიგი 92 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 366 060 ლარი. 2014 წლის ივლისის თვიდან საკრებულომ დაამტკიცა 93 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდი - 370 260 ლარი. 2014 წლის ოქტომბრიდან მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაუმტკიცდა საშტატო განრიგი 119,5 საშტატო ერთეული,ხელფასის თვიური ფონდი 396540 ლარი. 2014 წლის ნოემბრიდან მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დამტკიცებულია საშტატო განრიგი 120 საშტატო ერთეული თვიური ფონდით 396 940 ლარი. 2014 წლის 1 დეკემბრიდან მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დამტკიცებულ იქნა საშტატო განრიგი 120 საშტატო ერთეული ხელფასის თვიური ფონდით 396 940 ლარი. 16 დეკემბრიდან მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დამტკიცებულ იქნა საშტატო განრიგი 120,5 საშტატო ერთეული 397 140 ლარი ხელფასის თვიური ფონდით.

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" 2014 წელს ხარჯებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით აქვს გადახარჯვა შემდეგი სახის ხარჯებში: განწერით, შრომის ანაზღაურება შეადგენს 417891 ლარს, ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა 418034 ლარი, სხვაობა შეადგენს 143 ლარს. არაფინანსური აქტივების ზრდა საკანცელარიო საქონლის მუხლში შეადგენს - 2200 ლარს, ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა -2362 ლარი, სხვაობა შეადგენს 162 ლარი,კომუნალური ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 35246 ლარი ფაქტიური ხარჯი კი 35413 ლარია,სხვაობა შეადგენს 167 ლარს (მ.შ.წყლის ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 7300 ლარი ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა 7465 ლარი, სხვაობა შეადგენს 165 ლარს,კანალიზაციისა და ასანიზაციის ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 1200 ლარი ფაქტიური შესრულება კი შეადგენს 1202 ლარს სხვაობა შეადგენს 2 ლარს).რბილი ინვენტარის შეძენისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 5400 ლარი,ფაქტიურად კი შეძენილ იქნა 5523 ლარის სქონელი, სხვაობამ შეადგინა 123 ლარი.

2015 წლის დასაწყისში დამტკიცებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" საშტატო განრიგი 124 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 584 184 ლარი. თებერვლის თვეში დამტკიცებულია 148 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 655 264 ლარი. მაისის თვეში - 151 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 667 388 ლარი. ივნისის თვეში -160 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 745388 ლარი. 15 სექტემბრიდან 168 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 676 796 ლარი. დეკემბრის თვეში -178 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 680 372 ლარი.

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" 2015 წ. სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან განწერით ეკუთვნის 872000 ლარი. გაწეულია 871 238 ლარის ხარჯი, ეკონომია გაწეულია სოციალური ხარჯის ეკონომიის გამო. განწერით, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 670358 ლარი, 76.94%- ი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 565 ლარი 0.07%, მიელინებამ - 1469 ლარი, 0.17 % - ი, კომუნალურმა ხარჯმა - 34973 ლარი 4.01 % - ი, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯმა - 2606 ლარი, 0.3 % - ი, კვების ხარჯი 100112 ლარი 11.49 %,მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი 14726 ლარი, 1.69 %.საკანცელარიო საქონელი 3849 ლარი, 0.44 %,საოფისე ინვენტარის შეძენა 3195 ლარი 0.37 %,სანიტარული საგნების ხარჯი 4200 ლარი, 0.48 %, რეცხვა ქიმწმენდის ხარჯი 4126 ლარი, 0.47 %, სხვა ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული 19195 ლარი, 2.20 % - ი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა -4898 ლარი , 0.56 % - ი. სოციალური ხარჯი აქტივების (ბიულეტინი) 2141 ლარი, 0.26%,სამედიცინო ხარჯი 411 ლარი, 0.04%, კავშირგაბმულობის ხარჯი 1643 ლარი, 0.19%, არაფინანსური ხარჯი 2770 ლარი, 0.32 %.

სსიპ „ბორის საჯარო სკოლა"

2016 წლის 17 მარტიდან 18 თებერვლამდე აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა სსიპ„ბორის საჯარო სკოლას". შემოწმებისას გამოვლინდა რიგი უმნიშვნელო დარღვევები კერძოდ; სკოლის შენობაში მოუწესრიგებელია სველი წერტილები, ვაჟები და გოგონები სარგებლობენ ერთი და იგივე საპირფარეშო ოთახებით და საბაზანოთი. საბაზანოშიევა განთავსებული სარეცხი მანქანა.

წყლის მიკრობიოლოგიური შემოწმება, რაც აუცილებელი მოთხოვნაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილებისა „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" განხორციელებულია 2014-2015 წლებში, ხოლო 2013 წელს ასეთი მომსახურეობა არ განხორციელებულა.

სკოლაში სწავლობს 6 ინკლუზიური მოსწავლე სპეციალური პროგრამის მიხედვით.

სკოლასთან ფუნქციონირებს სკოლამდელი დაწესებულება(საბავშვო ბაღი), სადაც ბავშვების გამოკვება ხდება ყოველდღიური მენიუს შესაბამისად. მაგრამ მენიუში არაა გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N78 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, მენიუში ყოველდღიურად არაა გათვალისწინებული ხორც- პროდუქტები, ხოლო არაჟანი საერთოდ არაა გათვალისწინებული, რის გამოც შესაძლოა არ შეიავსოს ბავშვთა ენერგეტიკული ღირებულება სრულად და ხელი შეეშალოს ბავშვის ნორმალურ განვითარებას.

სკოლა დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების საააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვით და ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. შესყიდვების თანხები გაღებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან. სამინისტროს მიერ გაღებული თანხებიდან.

სკოლის 2013 წლის შესყიდვების გეგმა იყო ატვირთული 20271 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია ხელშეკრულებები 20230 ლარის ღირებულების, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 18473,21 ლარის ღირებულების.

2014 წლის შესყიდვების გეგმა იყო ატვირთული 21898 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია ხელშეკრულებები 23965 ლარის ღირებულების, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 20717,35 ლარის ღირებულების.

2015 წლის შესყიდვების გეგმა იყო ატვირთული 64518 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია ხელშეკრულებები 53638,90 ლარის ღირებულების, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 49142,90 ლარის ღირებულების.

სსიპ "ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორის საჯარო სკოლა"-ს 2013 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან დაზუსტებული გეგმით დამტკიცებული აქვს 70600 ლარი სუბსიდიის სახით. განწერით, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 61717 ლარი, 87,47%, მივლინებამ -197 ლარი, 0,28 % - ი, კომუნალურმა ხარჯმა - 3409 ლარი, 4,83 % - ი, სხვა ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული 1986 ლარი, 2,81 % -ი, მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯმა -575 ლარი, 0,81 % - ი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა - 280 ლარი, 0,4 % - ი, რბილი ინვენტარისა და პირადი ჰიგიენის საგნების ხარჯი-900 ლარი,1,27%, საკანცელარიო საქონლის ხარჯი 300 ლარი, 0,42%, რეცხვა-ქიმწმენდის ხარჯი 400 ლარი, 0

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 01.01.2016 წ. - 31.12.2016 წ.

სახალხო ლიტერატურული თეატრი დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვით. შესყიდვების თანხები გაღებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან.

2013 წლის შესყიდვების გეგმა იყო ატვირთული 13330 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია ხელშეკრულებები 10033,50 ლარის ღირებულების, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 9729,50 ლარის ღირებულების.

2014 წლის შესყიდვების გეგმა აგვირთულია 14593 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია ხელშეკრულებები 13813,30 ლარის ღირებულების, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 13813,30 ლარის ღირებულების.

2015 წლის შესყიდვების გეგმა იყო ატვირთული კორექტირებული სახით 15465 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია ხელშეკრულებები 14852,40 ლარის ღირებულების, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 14852,40 ლარის ღირებულების.

შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში აღმოჩნდა ტექნიკური ხარვეზები, ასევე, დარღვეულია ხელშეკრულების პირობები:

2013 წლის 01 ოქტომბერს შპს „ფორმას“ თან დადებულია ხელშეკრულება, რომლის მე-3 თავში სათაურით „საერთო ღირებულება“ 500 ეგზემპლარი წიგნის დაბეჭდვის საფასურად ჩაწერილია 2000 ლარი, ხოლო მე-2 თავში „შესყიდვის ობიექტი“ ჩაწერილია ლიტერატურული თეატრის თანამშრომლების ხევსურეთში, შატილში ნაყვანა და ხარაგაულში დაბრუნება გურამ რჩეულიშვილის საღამოს გასამართავად. ხელშეკრულებას თან ახლავს მიღება-ჩაბარების აქტი წიგნების დაბეჭდვის შესახებ. აღნიშნული შეცდომა გაურკვეველ ხდის ხელშეკრულების შინაარსს. ამავე ხელშეკრულების შესრულებისთვის თანხა გადარიცხულია წინასწარ 03 ოქტომბერს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია 12 ოქტომბერს, გადარიცხვიდან 7 დღის შემდეგ, რითაც დარღვეულია ხელშეკრულების 7.3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ანგარისსწორება უნდა მოხდეს შესყიდვის ობიექტის მინოდებისა და ხელშეკრულების 5.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის (ობიექტის მიწოდების თანმხლები დოკუმენტაცია) წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 20 საბანკო დღის ვადაში. 2013-1014 წლების ხელშეკრულებების გადარიცხვებში ბევრია წინასწარ თანხების გადარიცხვის ფაქტები, ხოლო 2015 წელს 2 შემთხვევაა ასეთი. აღნიშნულით დარღვეულია ხელშეკრულების პირობები, რაც ქმნის კანონშესაბამისობის რისკს.

სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა 2014 წელს ჩაატარა შენობის სარემონტო სამუშაოები, რომლის განსახორციელებლად ფ/პ მურმან ღამბაშიძესთან 20 აგვისტოს დადო ერთჯერადი შრომითი ხელშეკრულება და ხელფასი განუსაზღვრა 1250 ლარი, ხელფასიც 20 აგვისტოსაა ჩარიცხული, თუმცა, დარღვეულია ტიპიური შრომითი ხელშეკრულების შედგენის წესი, კერძოდ, მასში არაა მითითებული ხელშეკრულების ვადა, მაშინ, როცა ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ანაზღაურება არის ერთჯერადი. ვადის მუთითებლობის გამო ხელშეკრულება უვადოდ დადებულად ითვლება. ხელფასის ჩარიცხვა უნდა მომხდარიყო სამუშაოს შესრულების შემდეგ. ეს ფაქტიურად შესყიდვის წესით დასადები ხელშეკრულებაა. სარემონტო სამუშაოები დაიწყო სექტემბერში. 1362,50 ლარის ღირებულების სარემონტო მასალები შეძენილი იქნა 11 სექტემბერს ი/მ მარინე პაპიძისგან და გადარიცხვაც ამავე რიცხვში მოხდა. სარემონტო სამუშაოების დასრულების დოკუმენტი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც შედგენილია 25 ივლისს და მის მიხედვით ხარჯი შეადგენს 2642, 70 ლარს. აქ შედის მუშის ხარჯი 1250 ლარი და მასალის ხარჯი-1362,50 ლარი, ასევე, ხართაღრიცხვის დოკუმენტის შედგენის საფასური 30 ლარი, რომლის შესყიდვა განხორციელდა ი/მ ამირან ხარატიშვილისგან. აღნიშნული შეცდომები გამორიცხული იქნებოდა ხელშეკრულება სარემონტო სამუშაოების შესახებ რომ დაედოო ერთ მეწარმე სუბიექტთან, რომელიც მოაწესრიგებდა სარემონტო მასალის შეძენასაც და მუშახელის დაქირავებასაც, რასაც შესაძლოა ფინანსების დაზოგვა გამოეწვია.

სახალხო ლიტერატურული თეატრისათვის გამგეობის მიერ 2013 წელს დამტკიცებულია გეგმა 27 500 ლარი.სუსპენდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ ჩაერიცხა 27 500 ლარი. განწერით შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 17978 ლარი,რაც მთლიანი ხარჯის 65,36%-ს შეადგენს,მივლინების ხარჯებია 257 ლარი,0,93%,საკანცელარო საქონლის შეძენის ხარჯია 56 ლარი,0,2%,მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯი შეადგენს 2 122 ლარს,-7,72 %-ს, შეძენილია საოფისე ავეჯი 720 ლარის,2,26%, კავშირგაბმულობის ხარჯი შეადგენს 120 ლარს, 0,44%-ს,ტრანსპორტის დაქირავებაზე გახარჯულია 850 ლარი, 3,09 %,კომპიუტერების შესაძენად გახარჯულია 980 ლარი,3,56%,სხვა მანქანა დანადგარების და ინვენტარის შეძენა 1960 ლარი, 7,13%, ხოლო სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა შეადგენს 2462 ლარს, 8,95%.

2014 წელს **„რეზო თამბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრს“** დამტკიცებული აქვს ბიუჯეტი 50 100 ლარი.

თეატრს 2015 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჩაერიცხა 55 000 ლარი, ხოლო სხვა შემოსავალმა შეადგინა 1159 ლარი (მ.შ. ბანკიდან სარგებლის ჩარიცხვა 98,სხვა შემოსავალი 661 ლარი,წინა წლის ნაშთი 409 ლარი). სულ შემოსავალმა შეადგინა 56568 ლარი. განწერით, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 39167ლარი, 69,24 % - ს, მივლინების ხარჯებია 394 ლარი, 0,7 % - ი, ოფისის ხარჯი 3263 ლარი, 5,77 % -ი, სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი 83 ლარი, 0,15%,კავშირგაბმულობის ხარჯი 1326 ლარი,2,34%,წარმომადგენლობითი ხარჯი 4699 ლარი,8,31 %,რბილი ინვენტარის,უნიფორმრების შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი 1016 ლარი 1,80%,ტრანსპორტის,ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 2315 ლარი,4,10 %,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა 4290 ლარი,7,59 %.

2015 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დაუმტკიცა საშტატო განრიგი 4 საშტატო ერთეულით და 2 შტატგარეშე თანამშრომლით. ხელფასის თვიური ფონდით 2770 ლარი. 2015 წლის 1 თებერვალს გამგებელმა თეატრს თავიდან დაუმტკიცა საშტატო განრიგი, ხელფასის თვიური ფონდით 3270 ლარი.

შ.პ.ს. „ხარაგაული 2011“

2016 წლის 6 ივნისიდან 7 მაისამდე აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა შ.პ.ს „ხარაგაული 2011“-ს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2014 წლის ოქტომბერში დაიწყო პროექტი „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა და გამოყენება მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოსავლიანობის გადიდების და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 03.07.2015 წ. N 49/2365 მიმართვის შესაბამისად, ობიექტს მიეცა ზემოთ ხსენებული პროექტის განხორციელების, მონიტორინგის და ხელშეწყობა-მართვის უფლება. ასევე, მას პროექტის მიდინარეობის შესახებ უნდა წარედგინა ანგარიში გამგებლისთვის ყოველ კვარტალურ ჭრილში, თუმცა, არც მონიტორინგი ჩატარებულა არცერთჯერ და არც კვარტალური ანგარიში წარდგენილა გამგებლისთვის. ყოველივე აღნიშნული იწვევს პროექტის განხორციელების რისკს და ფინანსურ რისკს, რადგან შესაძლოა გართულდეს აღნიშნული პროექტისთვის გამოყოფილი თანხის ხარჯვის კონტროლი.

შპს „ხარაგაული-2011“-ის ბალანსზე რიცხული ქონება (ავტოტექნიკა) როგორც გამოყენებისათვის ვარგისი, ისე არამუშა მდგომარეობაში მყოფი მიბარებული აქვთ მძღოლებს, რომლებიც მართავენ აღნიშნულ ტექნიკას აბარების ხელწერილით და აღნიშნული ასახულია შესაბამის ხელშეკრულებებშიც. ობიექტის მისამართად წესდებაში მითითებულია **ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობა“**-ს მისამართი. მის აღნიშნულ მისამართზე განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტი(ხელშეკრულება) არ არსებობს.

შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები დადებული აქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან და **ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებასთან“,** სადაც ის არის მიმწოდებელი. ხელშეკრულებების ღირებულებაა სულ 188977 ლარი. დადებულია, ასევე, ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულებები. დადებულია 2 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, სადაც შემსყიდველია შპს „ხარაგაული-2011' სულ 9000 ლარის ღირებულების, მაგრამ ისინი არაა ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2015 წლის შესყიდვების გეგმა არაა შედგენილი. თუმცა, უნდა შემდგარიყო, რადგან უნდა მომზდარიყო წინასწარი მენეჯერული გათვლა შესაძლო შესყიდვის შესახებ.

შ.პ.ს-„ხარაგაული 2011“-ს 2014-2015 წლებში ქონების გადასახადი წლიურ დეკლარაციაში ნაჩვენები არ აქვს.

2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საზოგადოების შემოსავალმა შეადგინა 26275 ლარი. მუნიციპალიტეტიდან მიღებულია სუბსიდია -20300 ლარი.2015 წლის შემოსავალია 123362 ლარი. მუნიციპალიტეტიდან მიღებულია სუბსიდია 18500 ლარი.

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციის მიხედვით საზოგადოებას ხელფასის სახით დარიცხული და გაცემული აქვს 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე 5271 ლარი. 2015 წელს 49452 ლარი.

ა(ა)იპ „სათნოების სახლი“

2016 წლის 29 ივლისიდან 30 აგვისტომდე შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ შემოწმებულ იქნა ა(ა)იპ „სათნოების სახლი“. 2015 წლის 01 იანვრისთვისს „სათნოების სახლს“ ჰყავდა 65 ბენეფიციარი, ხოლო 2015 წლის 12 დეკემბრისთვის -67. ის წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს ახორციელებს ბენეფიციარების აღმოჩენით და მათთვის შესაბამისი დახმარების განევის გზით.

ორ ბენეფიციარს ნორა ხარატიშვილს და ნორა კიკნაძეს ყოველთვიურად ეძლევათ საკვები პროდუქტები, თუმცა, აღნიშნულის შესახებ არ არსებობს დირექტორის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტი. სასურველია, ყოველთვიური დახმარების გაცემა მოხდეს დირექტორის წერილობით ბრძანებით,პროდუქტების ოდენობის მითითებით.

04.11.2015წ შემოსულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურიდან მომართვა და კ. თაბუკაშვილის განცხადება. მიმართვა შეიცავს თხოვნას მის ბენეფიციართა სიაში ჩაწერის შესახებ, ხოლო განცხადებით განმცხადებელი ითხოვს ერთჯერად დახმარებას. „სათნოების სახლის“ ადმინისტრაციის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის გადაგზავნილი 29.12.2015 წ N 74 მიმართვაში ჩაწერილია, რომ დაკმაყოფილდა კ.თაბუკაშვილის განცხადება ბენეფიციართა სიაში ჩაწერის შესახებ. აღნიშნულ პიროვნებაზე ერთჯერადი დახმარებაა გაცემული 2016 წლის ინვარში. ასეთი უზუსტობები აღარ უნდა განმეორდეს.

ინვენტარიზაცია 2015 წელს ჩატარებულია.

2015 წლის ერთ-ერთ საშტატო განრიგს არ ასვია თარიღი, რაც ართულებს გარკვევას, თუ რა პერიოდის მონაცემებია აღრიცხული.

2015 წლის ნოემბერში „სათნოების სახლს“ ჩაუტარდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოწმება. შედგა შესაბამისობის შეფასების აქტი N03-424/ა, რომლის თანახმადაც აღმოჩენილი იქნა საკმაოდ ბევრი შეუსაბამობა (19 პუნქტი), სისუფთავის მხრივ, თუმცა მათი უმეტესობის გამოსწორება დღემდე ვერ მოხერხდა.

ა(ა)იპ „სათნოების სახლი“ 2013-2014 წლებში დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2015 წლის შესყიდვების გეგმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია 45395 ლარის. ხელშეკრულებები დადებულია 43775 ლარის ღირებულების, ხოლო განხორციელებულია 40135 ლარის ღირებულების.

ა(ა)იპ „სათნოების სახლს“ 2015 წელს სოციალური უზრუნველყოფის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან განწერით ეკუთვნის 96300 ლარი. განწერით, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 52823 ლარი, 54.79 % - ი,მივლინების ხარჯი-150 ლარი,0,16 %. კომუნალურმა ხარჯმა - 3346 ლარი, 3.47 % - ი, სხვა საოფისე ხარჯმა - 3657 ლარი,3.79 % - ი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა -394 ლარი, 0.41 % - ი, კვების ხარჯმა - 31485 ლარი,32.66 % -ი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობისათვის(ბინის ქირა) გამოყოფილია 4240 ლარი,4.40 %-ი. სამედიცინო ხარჯი-309 ლარი,0,32%.

ა(ა)იპ „სათნოების სახლს“ 2015 წელს სოციალური უზრუნველყოფის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჩაერიცხა 96300 ლარი, სხვა შემოსავალმა შეადგინა 61 ლარი. (ბანკიდან სარგებლის ჩარიცხვა).წლის დასაწყისში ანგარიშსწორების ანგარიშზე ერიცხებოდა ნაშთი 43 ლარი სულ შემოსავალმა შეადგინა 96404 ლარი.

2015 წლის დასაწყისში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ა(ა)იპ „სათნოების სახლს“ დაუმტკიცდა საშტატო განრიგი 13 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 5320 ლარი. 2015 წლის მაისის თვეში მოხდა ცვლილება საშტატო განრიგში და გამგეობამ სათნოების სახლს დაუმტკიცა 13 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 3740 ლარი.

„სათნოების სახლს“ 2015 წელში დარიცხულ შრომის ანაზღაურებაზე, რომელიც შეადგენს 52824,43 ლარს, დარიცხული აქვს 10564,88 ლარი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც გადარიცხულია ხაზინის ერთიან საბიუჯეტო ანგარიშზე.

ა(ა)იპ „ხარაგაულიდასუფთავება“

2016 წლის 30 აგვისტოდან 28 სექტემბრამდე აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“.

„ხარაგაულდასუფთავებას“ ნაწარმოები აქვს გასული და შემოსული კორესპონდენციების ჟურნალები და ბრძანებების წიგნი. ბრძანებების წიგნში შეინიშნება ჩასწორებები, რაც სასურველია, აღარ განმეორდეს. 2015 წლის 1 ნოემბრიდან 15 ნოემბრამდე პერიოდში თანამშრომელთა დაახლოებით 30 % გასულია უხელფასო შვებულებაში და ამით გაკეთდა ეკონომია, თუმცა, არსებობს შრომის უფლებების დარღვევის რისკი. ასევე, უხელფასო შვებულებიდან თანამშრომელთა დაბრუნების შესახებ არ არის გამოცემული შესაბამისი ბრძანებები. მათი გამოცემა აუცილებელია, რათა დადასტურდეს შრომითი ურთიერთობის გაგრძელება.

4 ერთეული მუშა ტექნიკა და ინვენტარი გადაცემული აქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ თხოვების წესით. ასევე, მუნიციპალიტეტისაგან 2011 წლის 31 იანვარს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული აქვს საოფისე შენობა ფართით - 42 კვ.მ.

2015 წელს ინვენტარიზაცია ჩატარებული არ არის, შედგენილია ცვეთის დარიცხვის დოკუმენტი. არადა ამ პერიოდში უკვე შეძენილია საოფისე ავეჯი და მისი აღწერა აუცილებელია.

"ხარაგაულდასუფთავება"- სთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტისგან თხოვნეს წესით გადაცემული 4 ერთეული საგრანსპორტო ტექნიკა: 2 ერთეული ისუზუ-სპეციალური, უაზ-469, მმზ4502 ტექნიკის სანვავის ხარჯვა აღირიცხება მეხსიერების ბარათით და ნაწარმოები გავლილი მანძილის რეესტრით. ასევე, ნაწარმოებია სატრანსპორტო საგზაო ბარათები, თუმცა, მათში არაა მითითებული გახარჯული სანვავის ოდენობა და განვლილი მანძილი კილომეტრობით. სასურველია მასში ორივე მონაცემი მიეთითოს სანვავის ხარჯვის უკეთესი კონტროლისთვის.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ 2013-2014 წლებში დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

2015 წლის შესყიდვების გეგმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აგვირთულია 156968 ლარის ოდენობის, შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები დადებულია 130632,50 ლარის ღირებულების, შესყიდულია 115485,93 ლარის ღირებულების მომსახურება.

შესყიდვების კუთხით დაშვებულია შეცდომები, კერძოდ.2015 წლის 01 იანვრიდან 01 ივლისამდე პერიოდში ზოგიერთი ხელშეკრულება და შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაგვიანებითაა ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რის გამოც გაურკვეველი რჩება ხელშეკრულების სტატუსი, შესრულებულია თუ არა ხელშეკრულების პირობები. აღნიშნული შეცდომების გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.07.2016 წლის დადგენილებით ა(ა)პ „ხარაგაულდასუფთავება“-ს დირექტორს მიეცა სიტყვიერი შენიშვნა. ყოველივე აღნიშნული ქმნის ობიექტის ფუნქციონირების კანონშეუსაბამობის რისკს. ასევე, შეცდომების დაშვებული ანგარიშსწორებაში, მაგალითად, შპს „ნიუსფეისთან“ დადებულია 3 ხელშეკრულება ქვიშა-ღორღის მიწოდების შესახებ. აღნიშნულ ფირმასთან ანგარიშსწორება უმეტესად განხორციელებულია ნინასწარ ჩარიცხვით და შემდეგ არის გაცემული ზედნადები და შესრულებული სამუშაოს მიღება -ჩაბარების აქტი. რაც აღნიშნულ ფირმასთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევაა. ამ ხელშეკრულებებიდან 2016 წლის 1 იანვრისათვის შპს"ნიუსფეისთან" დარჩა დებიტორული დავალიანება 80 ლარის ოდენობით, რაც ბუღალტრის განმარტებით, დღეისათვის ათვისებულია. ობიექტის ხელმძღვანელის მოსაზრების, მიხედვით აღნიშნული გამოწვეულია მომწოდებელი ფირმის კატეგორიული მოთხოვნით, რადგან ის წინასწარ ითხოვს ჩარიცხვას თანხისას. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველმა უნდა მოსთხოვოს მას სანაწო გარანტია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 თავით დადგენილი წესის შესაბამისად, რათა დაცული იქნას ფინანსური რისკისგან.

01.08.2015 წ. დადებულია ხელშეკრულება ი/მ თამაზ ბერაძესთან. მომსახურება მიღებული აქვს „ხარაგაულდასუფთავება"-ს, თუმცა, საფასური თანხა -30 ლარი გადარიცხული არაა მეწარმისთვის. ასევე, 25 დეკემბერს ი/მ გოჩა ფართლაძესთან დადებულია ხელშეკრულება სამუშაო ხელთათმანების მინოდებაზე და მასში არაა მითითებული ცალის ფასი. 7 აგვისტოს ი/მ ავთანდილ ფურცელაძესთან დადებულია ინვენტარის მინოდების შესახებ ხელშეკრულება და მიწოდებულია სამზარეულოს ინვენტარი, მაგრამ არც ხელშეკრულებაში და არც სასაქონლო ზედნადებში არა მითითებული რა მონოყობილობები იქნა კონკრეტულად შეძენილი და რა რაოდენობით, მხოლოდ ფასია 312 ლარი ნაჩვენები. ბუღალტრის განმარტებით, შეძენილია თეფშები, დანა-ჩანგალი, ჭიქები, ტაფა, ჩაიდანი და სხვა. ნივთები ადგილზე არის, მაგრამ სასურველია, ხელშეკრულებაში იყოს ასახული მათი დასახელება და ოდენობა.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებაში“ შემოსავალი და ხარჯები ნაწარმოებია ბანკის მეშვეობით.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ 2015 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან განწერით ეკუთვნის 519000 ლარი. განწერით,საშტატო განრიგით განსაზღვრულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 388850 ლარი,72.90 %. შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 25953 ლარი 4,87%, მივლინებამ - 1028 ლარი, 0,19 % - ი, ოფისის ხარჯმა - 40253 ლარი, 7.55 % - ი, ინვენტარი და სპეციალური ფორმების ხარჯმა -7306 ლარი, 1,37 % - ი, ტრანსპორტის მოვლისა და შენახვის ხარჯმა შეადგინა 47932 ლარი, 8.98 % - ი (მ.შ: სანვავი - 35893 ლარი), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობისათვის გახარჯულია 3988 ლარი, 0.75 %-ი. არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 18059 ლარი,3,39 %.

ა(ა)იპ "ხარაგაულდასუფთავებას"აქვს გადახარჯვა მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დამტკიცებული გეგმის ოფისის ხარჯების მუხლში კერძოდ კანალიზაცია- ასანიზაციის მუხლში 15053 ლარი (გეგმით გათვალისწინებული 25200 ლარი ნაცვლად გახარჯულია 40253 ლარი).აღნიშნული ხარჯი განეუულია სხვა შემოსავლებისა და შემოსულობების მუხლიდან.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ 2015 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჩაერიცხა 519000 ლარი, სხვა შემოსავალმა შეადგინა 14233 ლარი. წლის დასაწყისისთვის ორგანიზაციას ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე ერიცხებოდა 238 ლარი. სულ შემოსავალმა შეადგინა 533471 ლარი.

2015 წლის დასაწყისში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ დაუმტკიცა საშტატო განრიგი 79 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 31110 ლარი. 2015 წლის მარტის თვიდან შეტანილ იქნა ცვლილება საშტატო განრიგში და დაუმტკიცდა საშტატო განრიგი 83 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 32260 ლარი. 01 აპრილიდან საშტატო განრიგში კვლავ მოხდა ცვლილება დამტკიცდა 84 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდი 32760 ლარი, ხოლო 2015 წლის 01 მაისიდან გამგებლის მიერ დამტკიცდა ახალი საშტატო განრიგი 89 საშტატო ერთეული, ხელფასის თვიური ფონდით 33510 ლარი.2015 წლის 01 ივნისიდან გამგებლის მიერ დამტკიცდა საშტატო განრიგი 90 საშტატო ერთეული 33910 ლარი. ხოლო 01 ოქტომბრიდან მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით განისაზღვრა 92 საშტატო ერთეული ხელფასის თვიური ფონდი 35310 ლარი და ამას გარდა შტატგარეშე მომუშავეთა შტატგანრიგი 13 ერთეული 3580 ლარი თვიური ხელფასთ.01 ნოემბრიდან დამტკიცდა საშტატო განრიგი 88 ერთეული თვიური ხელფასის ფონდი 34210 ლარი და შტატგარეშე მომუშავეთა შტატგანგარიში 14 ერთეული 3730 ლარი თვიური ხელფასის ფონდით.

დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა ხშირ შემთხვევაში აჭარბებს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დამტკიცებულ საშტატო და შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნობას, კერძოდ, თებერვალში ზედმეტია 1 კაცი, მარტში 1 კაცი, აპრილში 2 კაცი, მაისში 2 კაცი, ივნისში 2 კაცი,ივლისში 9 კაცი, აგვისტოში 12 კაცი, სექტემბერში 13 კაცი,დეკემბერში 1 კაცი, თუმცა, აღნიშნულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები დადებულია. შესაბამისად აღგილი აქვს გადახარჯვას მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით განსაზღვრულ სახელფასო ფონდში კერძოდ თებერვლის თვეში გადახარჯულია 178 ლარი,მარტში 200 ლარი,აპრილში 500 ლარი, მაისში 500 ლარი,ივნისში 1625 ლარი,ივლისში 2898 ლარი,აგვისტოში 3535 ლარი,სექტემბერში 3930 ლარი.რაც მთელი წლის განმავლობაში შეადგენს 13366 ლარს,რომელიც გადაფარულ იქნა სხვა თვეებში გაწეული 9749 ლარი ეკონომიის გამო. საერთო ჯამში გადახარჯვამ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად 2015 წლის განმავლობაში შეადგინა 3617 ლარი. გამგეობაში წარდგენილ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში აღნიშნული გადახარჯვა არ იკვეთება, რაც გამომდინარეა იქიდან,რომ დაგეგმვისას არ არის შესაბამისობა საშტატო განრიგთან. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული უზუსტობები გამოწვეულია საშტატო განრიგში შესაბამისი ცვლილებების შეუტანლობით.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ 2015 წელში დარიცხული აქვს საშემოსავლო გადასახადი 82355 ლარი. ხაზინის ერთიან საბიუჯეტო ანგარიშზე გადარიცხულია 82266 ლარი, გადასარიცხი დარჩა სხვაობა 89 ლარი.

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“

2016 წლის 28 სექტემბრიდან 27 ოქტომბრამდე აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს“. წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

2015 წელს „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს“ ნაწარმოები აქვს გასული და შემოსული კორესპონდენციების ჟურნალები და ბრძანებების წიგნი. სამსახურებრივი მივლინებიდან თანამშრომლების დაბრუნების შესახებ ზოგიერთ შემთხვევაში არაა შედგენილი დირექტორის მიერ შესაბამისი აქტები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო წრეებში 2015 წელს გაერთიანებულია სულ 282 მოსწავლე. მის ბაზაზე ფუნქციონირებს სამუსიკო სტუდიები დაბა ხარაგაულში და სოფელ ვერტყვინჭალაში. სამუსიკო სტუდიები გასცემენ შესაბამის მოწმობებს(დიპლომებს). აღნიშნული სტუდიები იღებენ თითოეულ მოსწავლისგან გადასახადს თვეში 10 ლარს, თუმცა, არაა ამის შესახებ დირექტორის შესაბამისი აქტი გამოცემული.

2015 წლის აპრილში „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა“უმასპინძლა თბილისის მერიის „ბიგ-ბენდ“-ს და თსუ „გორდელას“, რომელთა კვების მომსახურებისთვის, 80 ადამიანისთვის დაიდო შესყიდვის ხელშეკრულება ი/მ რეზო ბაბუხადიასთან ღირებულებით 2400 ლარი. ხარჯები დასაბუთებულია კვების მენიუს მეშვეობით, მაგრამ არ არსებობს სახელობითი სია ვინ მიიღო მომსახურეობა. აღნიშნულის დაზუსტება საჭიროა ხარჯის დასაბუთებისთვის, რადგან ძნელი დასადგენია ვინ მიიღო მომსახურეობა ღონისძიების მონაწილეებმა თუ სხვა პირებმა. ასეთივე შემთხვევაა ივნისში გამართულ ა(ა)ი „ქუთაისის სიმფონიური ორკესტრის“ კონცერტის მონაწილეთა კვებისათვის 40 ადამიანზე ი/მ ცისანა ჩიტაძესთან დადებული ხელშეკრულების შემთხვევაშიც, რომლის ღირებულებაა 550 ლარი. აქაც არ არსებობს სახელობითი მონაცემები თუ ვინ მიიღო მომსახურეობა, მონაწილეებმა თუ სხვა პირებმა.

ივლისის თვეში ხარაგაულის N 1 გიმნაზიის წარმატებით კურსდამთავრებულებს და სატელევიზიო პროექტ „ეტალონის“ გამარჯვეებულ ხარაგაულელ მოსწავლეებს, სულ 11 მოსწავლეს ჯილდოდ ეს საჩუქრის სახით თითოეულს გადაეცა 650 ლარი. საერთო თანხამ შეადგინა 7150 ლარი, რაც მთლიანი ხარჯის 6,43 %-ია. ყურადღება მისაყურადღებოა ის გარემოება, რომ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს“ წესდებით არ აქვს გათალისწინებული ამ ტიპის ხარჯის გაწევის უფლებამოსილება.

წესდების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელი უფლებამოსილია გაერთიანდეს წრეობრივ მუშაობაში არაუმეტეს 2 წრისა. რეალურად მოსწავლეები გაერთიანებული არიან უმეტესად ორზე მეტ წრეში, რაც ბავშვების სურვილიდან გამომდინარეობს. აღნიშნული ეწინააღმდეგება ობიექტის წესდებას, თუმცა ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოხდეს წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა. ასევე, წესდების მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, წრის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება 10-12 მოსწავლით ერთ წრეში, თუმცა, რეალურად ზოგ წრეში გაერთიანებულია 10-ზე ნაკლები, ზოგში 12-ზე მეტი. ამ შემთხვევაშიც, შესაბამისი ცვლილება უნდა შეეიდეს წესდებაში.

2015 წლის ივნრის საშტატო განრიგის მიხედვით, დაუმტკიცდა მუსიკალური სტუდიის პედაგოგის 3 საშტატო ერთეული, რომელთაგან ერთ-ერთზე მუშაობდა ვიოლინოს პედაგოგი თამაზი ბარბაქაძე, რომელიც თებერვლის თვიდან გავიდა უფასო შვებულებაში, ხოლო აპრილის თვეში გათავისუფლდა სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე. მისი საშტატო ერთეულის გაუქმება არ მომხდარა.

ა(ა)იპ „მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“ 2013-2014 წლებში დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2015 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთულია 16036 ლარის ოდენობის. ამ წლის განმავლობაში დადებულია ხელშეკრულებები 13668 ლარის ღირებულების, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 13314 ლარის ღირებულების სამუშაო. შესყიდვების თანხები გადაიხადა ძირითადად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან. შესყიდვები განხორციელებულია გამართვებული წესით.

ი/მ ავთანდილ ზველი